ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 434

27 დეკემბერი
"---" -------- 2019 წ.

ქ. თბილისი

შპს „ცერერასთვის " (ს/ნ 220355835) დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლის, ,,დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს „ცერერას" (ს/ნ 220355835) მიერ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 25 დეკემბრის №19.1389.1752 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს „ცერერასთვის" (ს/ნ 220355835) მისამართზე - დიღმის მასივი, მარშალ-გელოვანის 53ა (ს/კ №01.13.04.004.016) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს ახალი მშენებლობის ნებართვა 2019 წლის 20 მაისის №4506942 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტით განსაზღვრული ობიექტისთვის შენობის საერთო ფართობის 3000 კვ.მ-ის დამატებით, რაც ჯამურად შეადგენს შენობის საერთო ფართობს - 24821.9 კვ.მ-ს.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე